ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-05/90

ქ. ბათუმი 20/06/2014 წელი

ერთის მხრივ,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება, ს/კ 245645235, ელ.ფოსტა: samebalab@gmail.com)შემდეგში „შემსყიდველი", წარმოდგენილი ცენტრის უფროსის რამაზ სურმანიძის სახით

და მეორეს მხრივ,შპს „სამაია" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლისგამზ., №7, ს/კ 202888358, შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი მარღანიას სახით,

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველსელექტრო მოწყობილობები და აპარატურა(დანაყოფის კოდი - 31600000), სამედიცინო მოწყობილობები (დანაყოფის კოდი - 33100000), შეფასებისდატესტირებისსხვადასხვასახისხელსაწყოები(დანაყოფის კოდი - 38900000) და ავეჯისაქსესუარები(დანაყოფის კოდი - 39200000), შემდეგში შესყიდვის ობიექტი/საქონელი ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. საქონლის ერთეულის დასახელება და ფასები განსაზღვრულია დანართი #1-ით (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. საქონლის სრული მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2014 წლის30 ოქტომბრამდე.

1.4. მიმწოდებელი საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

1.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს1 468 ლარს, მათ შორის 240 ლარი გათვალისწინებულია ელექტრო მოწყობილობებისა და აპარატურის (დანაყოფის კოდი - 31600000) შესყიდვისათვის, 582 ლარი - სამედიცინო მოწყობილობების (დანაყოფის კოდი - 33100000) შესყიდვისათვის, 60 ლარი - შეფასებისდატესტირებისსხვადასხვასახისხელსაწყოების (დანაყოფის კოდი - 38900000) შესყიდვისათვის და 586 ლარი - ავეჯისაქსესუარების (დანაყოფის კოდი - 39200000) შესყიდვისათვის.

2.2. ხელშეკრულების თანხა ითვალისწინებს როგორც საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

3. დაფინანსების წყარო

3.1. დაფინანსების წყარო:

3.1.1. 586 ლარი - ავეჯისაქსესუარები(დანაყოფის კოდი - 39200000) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება,

3.1.2. 60 ლარი - შეფასებისდატესტირებისსხვადასხვასახისხელსაწყოები (დანაყოფის კოდი - 38900000) - საკუთარი შემოსავლები,

3.1.3. 582 ლარი - სამედიცინო მოწყობილობები(დანაყოფის კოდი - 33100000) - საკუთარი შემოსავლები,

3.1.4. 240 ლარი - ელექტრო მოწყობილობებიდა აპარატურა (დანაყოფის კოდი - 31600000) - საკუთარი შემოსავლები.

4. ანგარიშსწორების წესი

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზემიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ანსასაქონლო ზედნადების/საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შეთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველმაუნდაშეამოწმოსმიწოდებული საქონელიხელშეკრულებისპირობებთანმიმართებაში.

5.2. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ნივთობრივად უნაკლო და აკმაყოფილებდეს ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან - მთავარი სპეციალისტი სამეურნეო დარგში - თენგიზ ბერიძე)მიღება-ჩაბარების აქტის ან ზედნადების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიღება-ჩაბარების აქტის ან ზედნადების საფუძველზე ახორციელებს საქონლის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 5 დღის ვადაში მიმწოდებლის ხარჯით.

5.5. თუ მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას 5.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადა, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

7.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

7.3.2. შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯით.

ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვიდ ობიექტის ღირებულების აზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

8.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

9.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ნოემბრამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის ;ზნით მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ -ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	შპს ,,სამაია"
ს/კ 245645235	ს/კ 202 888358
ელ. ფოსტა:samebalab@gmail.com	ელ.ფოსტა: info@samaia.ge
მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება	მის:ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.№7
სს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ს.ს. ,,ბითიეი ბანკი"
ბანკის კოდი - UGEBGE22	ბანკის კოდი - DISNGE22
ა/ა GE16VT5500000000593608	ა/ა GE38BT0360000604030002
ცენტრისუფროსი: რამაზ სურმანიძე ----------	დირექტორი: დიმიტრი მარღანია ----------

დანართი 1

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი/ლარი	საერთო ფასი/ლარი
1	გამყოფი ძაბრი 100 მლ	5	ცალი	8	40
2	გამყოფი ძაბრი 250 მლ	6	ცალი	28	168
3	მინის ბიუქსი დიამეტრით 6 სმ	6	ცალი	7	42
4	ცილინდრი დანაყოფიანი 50 მლ შლიფით	12	ცალი	18	216
5	პეტრის ჯამი	30	ცალი	1,5	45
6	მზომი კოლბა 1ლ	2	ცალი	15	30
7	მინის წკირები	50	ცალი	1	50
8	პატარა ძაბრი 9 მმ	10	ცალი	2	20
9	მზომი კოლბა 50 მლ	30	ცალი	4	120
10	მზომი კოლბა 25 მლ	30	ცალი	3	90
11	ერთჯერადი პოლიეთილენის ჭურჭელი 3 მლ	500	ცალი	0,2	100
12	ქვიშის საათი 5 წთ	3	ცალი	7	21
13	ქვიშის საათი 10 წთ	1	ცალი	10	10
14	ეპინდოფის სინჯარები	200	ცალი	0,08	16
15	ავტოკლავირებადი ბოთლები	20	ცალი	18	360
16	დანაყოფებიანი ცილინდრი 25მლ-იანი უშლიფოდ	10	ცალი	4	40
17	დანაყოფებიანი ცილინდრი 10მლ-იანი უშლიფოდ	10	ცალი	4	40
18	ტემპერატურის საზომი	5	ცალი	12	60
					1 468

ცენტრის უფროსი:
რამაზ სურმანიძე

შპს „სამაიას“ დირექტორი:
დიმიტრი მარღანია